

წერილი ევროპელ თანატოლს- დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე

დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას შორის არსებობს ზღვარი, დამოუკიდებლობა პირველი ნაბიჯია თავისუფლებისკენ. თავისუფლება არ არის ფიზიკური მდგომარეობა. თავისუფლება ნიშნავს მეტს, ვიდრე მხოლოდ ქვეყნის საზღვრებს შიგნით დამოუკიდებლად ყოფნას. ის არის სიტყვის თავისუფლება, სამართლიანობა, ადამიანის ღირსეული ცხოვრებისა და თვითგანვითარების თავისუფლება. თავისუფლება ერის ყველაზე მნიშვნელოვანი მისწრაფებაა. ქართველმა ხალხმა საუკუნეების განმავლობაში იბრძოლა დამოუკიდებლობისთვის.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება არ იყო ერთ დღიანი მოვლენა, ეს იყო საუკუნოვანი ბრძოლა ქართველთათვის. 1921 წელს რუსეთის არმიამ დაიპყრო საქართველო, ქვეყანა საბჭოთა კავშირის ნაწილად გადაიქცა და აქიდან დაიწყო 70-წლიანი საბჭოთა ბატონობა. საბჭოთა პერიოდში ბევრი რამ შეიცვალა, დაიხშო სიტყვის თავისუფლება, რეპრესიებმა ათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, კულტურული და რელიგიური ტრადიციები შევიწროვდა. 1989 წლის 9 აპრილს თბილისში, თავისუფლების მოთხოვნით შეკრებილ მშვიდობიან დემონსტრატებს საბჭოთა ჯარები სასტიკად გაუსწორდნენ და არაერთი უდანაშაულო სიცოცხლე შეიწირეს. ამ ტრაგედიამ კიდევ უფრო გააძლიერა საზოგადოებრივი პროტესტი. 1991 წლის 9 აპრილი - 2 წელი ამ ტრაგედიიდან, იქცა საქართველოს ისტორიის ახალ, თავისუფალ ფურცლად და ამ დღეს ქვეყანა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. ეს იყო ქართველი ხალხის საუკუნოვანი ბრძოლის ლოგიკური დასასრული და ამავდროულად, ახალი პასუხისმგებლობების დასაწყისი, ვინაიდან, თავისუფლების მიღმა აღმოჩნდა მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეალობა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყანა აღმოჩნდა პოლიტიკური არასტაბილურობის ზღვარზე. ეკონომიკური კრიზისის პირობებში ბევრმა მოქალაქემ დაკარგა სამუშაო, ხალხს უჭირდა ყოველდღიური ცხოვრების გაგრძელება, იყო შუქისა და გათბობის გარეშე გატარებული ზამთრები. თუმცა ამ მძიმე ვითარების მიუხედავად, საქართველომ დაიწყო სირთულეების გადალახვა, მაგრამ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას დაუყოვნებლივ არ მოჰყვა აზრობრივი თავისუფლება, რაც იმას ნიშნავს რომ მიუხედავად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა, საზოგადოების ნაწილი კვლავ საბჭოთა მენტალიტეტით აზროვნებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო გამოცხადებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ქართველი ხალხი დღესაც აგრძელებს ბრძოლას არა მხოლოდ ქვეყნის საზღვრების, არამედ აზრის, ქმედებისა და ღირსების თავისუფლებისთვის. „თავისუფლება ნიშნავს იმის თქმის უფლებას, რომ ორი და ორი ოთხია. თუ ეს დაშვებულია, დანარჩენიც მოყვება“-ჯორჯ ორუელი. მიუხედავად

კონსტიტუციით გაწერილი უფლებებისა, საქართველოში აზრის გამოხატვის უფლება არ არის დაცული. სახელმწიფო ხშირად ძალადობრივად აღკვეთს განსხვავებულ პოზიციას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს აზრი მიმართულია რუსულ გავლენასა და მმართველი ძალის პოლიტიკის წინააღმდეგ. ბოლო პერიოდში თბილისში გამართული ანტირუსული აქციები ამის ნათელი მაგალითია, ახალგაზრდები, მათ შორის არასრულწლოვნებიც კი, დაპატიმრებულნი იქმნენ საკუთარი აზრის ხმამაღლა გამოთქმის გამო. ბევრ შემთხვევაში მათ ფიზიკურადაც გაუსწორდნენ. „თუკი თავისუფლების ცნება საერთოდ რამეს ნიშნავს, ეს, პირველყოფლისა, იმის უფლებაა, ადამიანს მისთვის არასასურველი სიმართლე პირში უთხრა“. ეს ყველაფერი კი მიგვანიშნებს, რომ თავისუფლების იდეალი კვლავაც შორს არის. საზოგადოებაში დღემდე არსებობს მემკვიდრეობა, რომელიც საბჭოთა რეჟიმმა დატოვა, გამოხატვის შიში და საკუთარი აზრის ჩამოყალიბების სირთულე. თავისუფლება მხოლოდ ფორმალური უფლება არ არის, ის ითხოვს ყოველდღიურ პრაქტიკას, კულტურას, რომელიც თავისუფალ აზრს არ თრგუნავს, არამედ მხარს უჭერს მას. სამწუხაროდ დღევანდელ საქართველოში ხშირად სწორედ განსხვავებული აზრი უქმნის საფრთხეს ინდივიდების უსაფრთხოებას, რაც ავტორიტარიზმისკენ გადახრის ნიშანია. გარდა ამისა, ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტები სუსტია, სასამართლო სისტემა არაა ბოლომდე დამოუკიდებელი, მედია ზეწოლის ქვეშ იმყოფება, ხოლო ხელისუფლების კრიტიკა ხშირად აღიქმება სახელმწიფოს მტრობად. ამ ყველაფრის ფონზე ცხადია, რომ დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე სვლა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ქართველი ხალხი ყოველდღე იბრძვის, ზოგი სიტყვით, ზოგი ქუჩაში, ზოგი კი უბრალოდ იმით, რომ განსხვავებულად ფიქრობს. ეს ბრძოლა უკვე აღარ არის ტანკებთან ან ოკუპანტებთან- ის არის სისტემასთან, რომელიც არ აძლევს ადამიანს ღირსებით ცხოვრების საშუალებას.

საქართველოს დამოუკიდებლობა ისტორიული გამარჯვებაა, მაგრამ თავისუფლება, როგორც ღრმა შინაგანი და საზოგადოებრივი მდგომარეობა დღემდე დაუმთავრებელი ბრძოლაა. მმართველი სისტემის მიერ აზრის განსხვავებულობისადმი შეუწყნარებლობა, ფიზიკური ძალადობა პროტესტანტებზე, არასრულწლოვნების დაკავება და კრიტიკული აზრის ჩახშობა ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ფორმალურად კი არის თავისუფალი, მაგრამ საქართველოს მოქალაქეები ჯერ კიდევ ვერ სარგებლობენ თავისუფლებით. ჩვენს რეალობაში თავისუფლება მოითხოვს მუდმივ მზადყოფნას, არა მხოლოდ პროტესტის, არამედ აზროვნებისა და პასუხისმგებლობის. დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე სავალი გზა რთულია, მაგრამ სწორედ ამ გზაზე ყალიბდება ღირსეული სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც შეუძლია არა მხოლოდ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დაცვა, არამედ თავისუფლებისთვის ბრძოლა და ისეთი ქვეყნის აშენება, სადაც თავისუფლება თითოეული ადამიანის ყოველდღიური რეალობაა და არა მხოლოდ იდეალი. ქართველი ახალგაზრდები და არა მხოლოდ ახალგაზრდები ვიბრძვით ევროპისთვის, მაგრამ ევროპული ღირებულებებისთვის საჭიროა საბჭოთა მენტალიტეტზე უარი ვთქვათ. როგორც ვთქვი, არსებობს ზღვარი დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას შორის რომლის გადაკვეთის

საშუალებას დღევანდელ საქართველოში არ გვაძლევენ. საქართველომ დატოვა საბჭოთა კავშირი, მაგრამ ქართველმა ვერა.

A letter to European peer – from independence to freedom

There is a distinction between independence and freedom. Independence is just the first step toward achieving freedom. Freedom is not, merely a physical state. It goes beyond simply being independent within the borders of a country. Freedom means having freedom of speech, justice, the ability to live with dignity and the opportunity for personal development. It is the most vital aspiration of any nation. The Georgian people have fought for centuries to gain their independence.

The attainment of Georgia's independence was not a one-day event, it was a centuries-long struggle for the Georgian people. In 1921, the Russian army occupied Georgia, turning the country into a soviet union, marking the beginning of 70 years of soviet rule. During the soviet era, many things changed: freedom of speech was suppressed, thousands of innocent lives were lost to repression, and cultural and religious traditions were oppressed. On April 9th, 1989, soviet troops violently cracked down on peaceful demonstrators gathered in Tbilisi demanding freedom, taking many innocent lives. This tragedy further strengthened public protest. Two years later, on April 9, 1991, Georgia declared itself an independent state- a new, free chapter in it's history. This was the logical result of the Georgian people's centuries-long fight, but at the same time, it marked the beginning of the new responsibilities. Beyond freedom lay harsh political, economic and social realities. After the declaration of independence, the country faced political instability. In the midst of an economic crisis, many citizens lost their jobs, daily life became difficult, and the people endured winters without electricity or heating. Despite these harsh conditions, Georgia began overcoming challenges. However, state independence did not immediately bring intellectual freedom- meaning that despite political sovereignty, part of society continued to think with a Soviet mindset. Although Georgia is officially an independent country, it's people are still fighting- not only for territorial freedom but also for freedom of thought, expression and dignity. "Freedom is the right to say that two plus two make four. If that is granted, all else follows" wrote George Orwell. Despite constitutional rights, freedom of expression is not fully protected in Georgia. State often suppresses dissent with force, especially when it challenges Russian influence or the ruling party's politics. Recent anti-Russian protests in Tbilisi are a clear example: young people, including minors, were arrested for speaking out, and in many cases, physically assaulted. "if liberty means anything at all, it means the right to tell people that they do not want to hear". All of this shows that the ideal of freedom is still distant. The legacy of the soviet regime still lingers in society- fear of speaking out and difficulty forming independent opinions. Freedom is not merely a formal right, it requires daily practice and a culture that supports, not suppresses, free thinking, sadly, in today's Georgia, differing opinions often

threaten individual safety- a sign of authoritarian tendencies. Moreover, the country's democratic institutions are weak: the judiciary is not fully independent, media operates under pressure, and criticism of the government is often viewed as betrayal of the state. Against this backdrop, it is clear that the journey from independence to freedom is far from complete. The Georgian people continue to fight every day- some with words, some in streets, and some simply by thinking differently. This fight is no longer against tanks or occupiers- it is against a system that denies people the chance to live with dignity.

Georgia's independence is a historic victory, but freedom- as a deep personal and societal condition- remains an ongoing battle. The ruling system's intolerance toward differing opinions, the use of physical violence against protesters, the detention of minors and suppression of critical thought all reveal that, while the state may be formally free, the people of Georgia still do not fully enjoy the essence of freedom. In our reality, freedom demands constant readiness- not only to protest, but to think freely and act responsibly. The road from independence to freedom is difficult, but it is along this very path that a dignified civil society is formed- one capable not only of defending the state's sovereignty but also of fighting for freedom, and building a country where liberty is a lived, daily experience for every individual, not just an ideal. We, Georgian youth and not just the youth, are fighting for Europe. But embracing European values requires letting go of the soviet mentality. As I said, there is a line between independence and freedom- and in today's Georgia, we are still not allowed to cross that line. Georgia left the Soviet Union, but the Georgians have not.